

სს „სეინ ჰელს“

2019 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

სს „სქინ ჰელს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები		296,570	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		296,570	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	157,201
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	3,758,676	1,636,211
სხვა მიმდინარე აქტივები	4	476,820	468,674
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,235,495	2,262,086
სულ აქტივები		4,532,065	2,262,086
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		50,806	50,465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		50,806	50,465
სულ ვალდებულებები		50,806	50,465
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		4,481,159	2,211,521
სულ საკუთარი კაპიტალი		4,481,259	2,211,621
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,532,065	2,262,086

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი

გუგა გაფრინდაშვილი _____

სს „სქინ ჰელს“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	5	2,266,759	3,194,779
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		2,266,759	3,194,779
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(5,233)	(1,368,258)
ფინანსური ხარჯი		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		8,112	(33,302)
მოგება დაბეგვრამდე		2,269,638	1,793,219
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		2,269,638	1,793,219

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი

გუგა გაფრინდაშვილი _____

სს „სქინ ჰელს“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	418,302	418,302
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	100		100
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		1,793,219	1,793,219
ნაშთი - 31.12.2018	100	2,211,521	2,211,621
საწესდებო კაპიტალის ცვლილება			
გაცემული დივიდენდები			
პერიოდის მოგება		2,269,638	2,269,638
ნაშთი - 31.12.2019	100	4,481,159	4,481,259

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი

გუგა გაფრინდაშვილი _____

სს „სქინ ჰელს“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „სქინ ჰელს“ რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 15 დეკემბერი 2016). კომპანიის იურიდიული საქართველო, ქუთაისი, ავტომშენებლის ქ., 88, (ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა). მისი ძირითადი საქმიანობაა საქართველოს ფარგლებს გარეთ საკონსულტაციო მომსახურების გაწევა. 2019 წლის 24 იანვარს სს „სქინ ჰელს“-ი გამოვიდა თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან და მისი რეგისტრაციის ადგილი გახდა საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, ბეჟან კალანდაძის ქუჩა N3, სართული 4, ბინა N18. სხვა ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევა, როგორც წესი, გულისხმობს საწარმოს მიერ მომსახურების შესრულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

შენიშვნა 3.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
1 აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766
1 ევრო / ლარი	3.2095	3.0701
	2019	2018
	ლარი	ლარი
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში GEL	-	1
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში €	3,758,676	-

შენიშვნა 4.

სხვა მიმდინარე აქტივები

	2019	2018
	ლარი	ლარი
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	468,060	468,060
გადახდილი ავანსები	8,759	613
	476,820	468,674

შენიშვნა 5.

ამონაგები

სს სქინ ჰელსის ამონაგებს ძირითადად წარმოადგენს მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი საქართველოს ფარგლებს გარეთ, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით დამატებითი ღირებულების გადასახადის დაბეგვრისგან გათავისუფლებულია.

	2019	2018
	ლარი	ლარი
ამონაგები	2,266,759	3,194,779
	2,266,759	3,194,779

შენიშვნა 6.

ადმინისტრაციული ხარჯები	2019 ლარი	2018 ლარი
მომსახურების ანაზღაურება		(1,366,872)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,233)	(1,387)
	(5,233)	(1,368,258)

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (14.09.2020) კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 14 სექტემბერს.

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი

გუგა გაფრინდაშვილი _____

სს „სქინ ჰელს“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2019-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
აქტივები			
გრძელვადიანი ინვესტიციები		296,570	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		296,570	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		-	157,201
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	3,758,676	1,636,211
სხვა მიმდინარე აქტივები	4	476,820	468,674
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,235,495	2,262,086
სულ აქტივები		4,532,065	2,262,086
ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		50,806	50,465
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		50,806	50,465
სულ ვალდებულებები		50,806	50,465
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		100	100
გაუნაწილებელი მოგება		4,481,159	2,211,521
სულ საკუთარი კაპიტალი		4,481,259	2,211,621
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4,532,065	2,262,086

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი
გუგა გაფრინდაშვილი

სს „სქინ ჰელს“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2019 ლარი	2018 ლარი
ამონაგები	5	2,266,759	3,194,779
ამონაგების თვითღირებულება		-	-
საერთო მოგება		2,266,759	3,194,779
ადმინისტრაციული ხარჯები	6	(5,233)	(1,368,258)
ფინანსური ხარჯი		-	-
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი		8,112	(33,302)
მოგება დაბეგვრამდე		2,269,638	1,793,219
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		2,269,638	1,793,219


სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი
გუგა გაფრინდაშვილი

სს „სქინ ჰელს“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2019 - 31.12.2019 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 01.01.2018	-	418,302	418,302
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	100		100
გაცემული დივიდენდები			-
პერიოდის მოგება		1,793,219	1,793,219
ნაშთი - 31.12.2018	100	2,211,521	2,211,621
საწესდებო კაპიტალის ცვლილება			
გაცემული დივიდენდები			
პერიოდის მოგება		2,269,638	2,269,638
ნაშთი - 31.12.2019	100	4,481,159	4,481,259

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი
გუგა გაფრინდაშვილი



შენიშვნა 6. ადმინისტრაციული ხარჯები	2019 ლარი	2018 ლარი
მომსახურების ანაზღაურება		(1,366,872)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(5,233)	(1,387)
	(5,233)	(1,368,258)

7. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე (14.09.2020)
კომპანიაში ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს

8. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2020 წლის 14 სექტემბერს.

სს „სქინ ჰელს“-ის დირექტორი
გუგა გაფრინდაშვილი